ᲡᲐᲠᲒᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Ა. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲖᲘᲠᲛᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲬᲔᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 28-Ე ᲬᲔᲚᲘ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲗᲘ, 14 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 1948 Წ. № 75 (8119). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ — მოწვევა (1-ლი გვერდი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲔᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ (1-ლი გვერდი).

Ა. ᲜᲘ. ᲝᲡᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 125 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲜᲘᲡ ᲡᲮᲚᲓᲛᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ (1-ლი გვერდი).

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ (მე-2 გვერდი).

ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲐᲪᲘᲡ (მე-2 გვერდი).

ᲒᲐᲫᲣᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲨᲘ (მე-2 გვერდი).

ᲛᲙᲔᲪᲗᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲛᲢᲒ-ᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ (მე-3 გვერდი).

Შ. ᲐᲤᲮᲐᲘᲫᲔ — „ᲐᲠᲤᲘᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ“ (მე-3 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲗᲛᲘᲡ ᲐᲛᲔᲑᲘ — დეკაშები (მე-4 გვერდი).

ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲬᲧᲐᲚᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲨᲠᲐᲛᲚᲝᲑᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲡ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲓᲔᲛᲔᲗᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲖᲔ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲖᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲡᲐᲛᲔ ᲡᲘᲡᲢᲘᲡᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲒᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲚᲛᲐᲡᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲖᲔ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲒᲘᲒᲝᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜ

საბჭოთა კავშირში

ხარაგ ბორგკეთიჩის მეთოდი ყველა ლითონღამმუშავებელ საწარმოს

ლენინგრადი, 8 აპრილი. (საკუთარი). საკავშირო კ. ა. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, რომ გაეცნეულდეს ლენინგრადის სვერდლოვის სახელობის ქარხნის ხარაგ ბორგკეთიჩის ბრიგადის მეთოდი, — ლითონის ჩქარი ხარაგება.

იგი ამ მეთოდით მუშაობს და სისტემატურად სამმაგი და ოთხმაგი გადაჭარბებით ასრულებს ტექნიკურ-სანვაგრიშო ნორმებს, ხოლო 15-20-ჯერ გადაჭარბებით — საცდელ-ტატისეულ ნორმებს.

ამჟ. ბორტკეთიჩმა დატკლების დამუშავებისას მიაღწია ჭრის უდიდეს სიჩქარეს, რაც 700 მეტრს აღწევს წუთში.

ნივაგორი ხარაგის მეთოდი ფართოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ლითონმხარაგების დროს და აგვილი ასათვისებელია. სვერდლოვის სახელობის ქარხნაში ფართოდ ვრცელდება ამჟ. ბორტკეთიჩის მიმდეგართა მოძრაობა. მისი ეთოდით მომუშავე ხარაგები უკვე ამჟამად 580-800 პროცენტით ასრულებენ საცდელ-სტატისტიკურ ნორმებს.

საკავშირო კ. ა. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის ბიუროო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლითონის ჩქარი ხარაგების ახალ მეთოდს, რომელიც ამსხვრევს საინჟინრო-ტექნიკურ ნორმებს და შესაძლებელს ხდის, რომ ხარაგის ნაყოფიერება მკვეთრად გადიდდეს, და ლითონდამუშავებელ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მდივნებსა და დირექტორებს ავალებს ფართოდ გააცნეულონ ეს მეთოდი.

კონკურსი ქვანახშირის კომბაინისა და ქვანახშირის დამგვირთავ მანქანის საუკეთესო კონსტრუქციისათვის

დაიწყო ღია კონკურსი ქვანახშირის კომბაინისა და ქვანახშირის დამგვირთავი მანქანის საუკეთესო კონსტრუქციისათვის. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მანქანათმშენებელ ქარხნებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, მრეწველობის სხვადასხვა დარგების საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს. მანქანების შექმნისათვის მუშაობაში მათ შეუძლიათ ჩაებან სპეციალისტები და გამომგონებლები.

ქვანახშირის კომბაინების საუკეთესო ნიმუშებისათვის დაწესებულია პრემიები: 500 ათასი, 400 ათასი და 300 ათასი მანეთი. შახტებში ქვანახშირის ამოღებები და დამყრელი მანქანების საუკეთესო ნიმუშებისათვის დაწესებულია პრემიები: 400 ათასი, 250 ათასი და 150 ათასი მანეთი. პრემიები გაეწევიდება კონსტრუქციის ავტორს, ამ სამეცნიერო-საკვლევ საკონსტრუქტორო ან საპროექტო ინსტიტუტის დირექტორსა და მთავარ ინჟინერს, რომელმაც ეს კონსტრუქცია შეიმუშავა, დამამზადებელი ქარხნის დირექტორს, მთავარ ინჟინერსა და კონსტრუქტორებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობას იღებდნენ შანმანის დამზადებაში, გამოცდასა და ათვისებაში.

კონკურსი გაგრძელდება 1949 წლის 1 ნოემბრამდე. — ტექნიკური პროექტები წარდგენილ უნდა იქნას 1948 წლის 1 ნოემბრისათვის.

დამტკიცებულია კონკურსის ჟიური, რომელშიც შედიან: ე. ტ. ბაკუმოვი (თავმჯდომარე), დ. გ. ონოკა, ა. ფ. ზასიადკო, ა. გ. კუტაკოვი, ი. ა. ლებედევი, აკადემიკოსი ა. მ. ტერპიგორევი და ა. კ. ხარჩენკო. (საკდნი).

მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენის დიდი რკალის მშენებლობა მარტში დაამთავრეს ტიტანების გვირაბების მშენებლობის ათი კილომეტრის მანძილზე კურსკის ვაგზლიდან უარიხის მიდენამდე.

სურათზე: სადგურ „პაველეცკაიას“ მშენებლობის მზა გვირაბის უბანი.

ფოტო ლ. გელიკანინის (საკდნის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

რუსეთის პირველი ქიმიური ლაბორატორიის 200 წლისთავი

წელს 200 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მ. ვ. ლომონოსოვმა პირველი ქიმიური ლაბორატორია დაარსა რუსეთში.

— ამ სახელოვან იუბილეს,—განაცხადა საკდნის კორესპონდენტთან საუბარში ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების მდივანმა აკადემიკოსმა მ. მ. დუბინინმა,—ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა მეცნიერება, რუსული მეცნიერების შესანიშნავი ტრადიციის განმტკიცებით.

მ. ვ. ლომონოსოვის მიერ 1748 წელს შექმნილ ლაბორატორიაში საფუძველი ჩაეყარა ქიმიური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს დარგების აღმოჩენებს. ამ დროს ეკუთვნის მისი პირველი ნაშრომები მიდნებების ანალიზის, ფერადი მინის, მოზაიკის დარგში და ქიმიისა და ფიზიკის სხვა დარგებში. ამ ნაშრომებმა განსვრეტეს ქიმიური მეცნიერების განვითარება მრავალი ათეული წლით, სადაც გელი შეუქმნეს მეინდეოების, მინერალური საღებავების წარმოების, სასინჯ სამქოს და შპონტიური მრეწველობის სხვა დარგებს.

ამჟამად მეცნიერებათა აკადემიაში, სამინისტროებთან და ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებთან ათასობით ქიმიური ლაბორატორია მუშაობს, რომლებიც შემოქმედებითად განაგრძობენ რუსული ქიმიური სკოლის საეკუთვნო ტრადიციებს, სკოლისა, რომლის მამათმთავრიც მ. ვ. ლომონოსოვი იყო.

ოქტომბრამდე რუსეთში სულ რამდენიმე ასეული მეცნიერი ქიმიკოსი ითვლებოდა. ამჟამად ქიმიური ლაბორატორიების მუშაობაში სხვადასხვა სპეციალობის ათეულ ათასობით მეცნიერი მუშაკი მონაწილეობს. ისინი კომპლექსურად სწყვეტენ თანამედროვე მეცნიერების პრობლემებს სახალხო მეურნეობის სასარგებლოდ.

მ. ვ. ლომონოსოვის გენიალური იდეები მხოლოდ საბჭოთა ღროს ხორციელდება ფართოდ და სრულად. თანამედროვე ქიმია მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკას, ბიოლოგიას, გეოლოგიას, ენერგეტიკასა და ცოდნის სხვა დარგებს. ამან შესაძლებელი გახადა მთელ რიგ შემთხვევებში ბრწყინვალე მეცნიერული და პრაქტიკული შედეგების მიღწევა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროში განიხილა პროფესორ პირველი ქიმიური ლაბორატორიის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სხვიზიმო სხდომის პროგრამა. მზადდება მოხსენებები, რომლებიც გააშუქებენ მ. ვ. ლომონოსოვის მოღვაწეობას ქიმიის დარგში და საბჭოთა სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიების ისტორიას. იუბილეისადმი მიძღვნილი ვამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ლომონოსოვის ლაბორატორიის მაკეტი, აგრეთვე ლიტერატურა და ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ რუსეთში ქიმიურ მეცნიერებათა განვითარების ძირითად ეტაპებს. (საკდნი).

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახლ-მუზეუმში

კალინინი, 6 აპრილი. (საკდნი). უბრალო, სოფლურმა სახლმა სოფელ ვერხნაია ტროიცაში, რომელიც მიხელ ივანეს-ძე კალინინს ეკუთვნოდა და მისი სახლობის მუზეუმი გახდა, დიდი რაოდენობით მიიზიდა მნახველები. 1947 წელს ეგი ონახულა 5.300 კაცმა, ერთხანგავაკურ მეტმა, ვიდრე გასულ წელს. აქ მოდიან მნახველები არა მარტო მახლობელი სოფლებიდან და კალაქებიდან, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა ოლქებიდანაც.

მუზეუმში შეგროვებულია 600-ზე მეტი დოკუმენტი და ექსპონატი, რომლებიც მოგვითხრობენ სახვოში სახელმწიფოს დიდი მოღვაწის ცხოვრების შესახებ. მათ შორის არის კალინინის ოჯახის საყოფაცხოვრებო და კლუბური შრომის ილუსტრაციები, ფოტოსურათები, წერვნები.

ამას წინათ კოლექცია შეიცვსო ახალი ექსპონატებით — კალინინის ნივთებით, რომლებიც მუზეუმს სანუკვარად უღირებ ნიშნით ეგზავნა-ხლა ოლქში.

ახლა სახლ-მუზეუმი ემზადება მ. ი. კალინინის გარდაცვალების მეორე წლისთავის აღსანიშნავად. დამუშავებულ და გაფორმებულია მისი თანამოსოფლელების მოგონებანი. გულთბილად მოგვითხრობენ ისინი მიხეილ ივანეს-ძის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე, მის გლეხურ შრომაზე, იმაზე, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური როგორ ჩაღიოდა მშობლიურ სოფელში და ნახულობდა თანამოსოფლელებს.

მუზეუმის თანამშრომლები და აქტივი რაიონის კოლმეურნეობებში ატარებენ ლექციებს და საუბრებს თემაზე: „27 წელი საკვშირო სტაროსტის პოსტზე“, „მ. ი. კალინინი, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს პრეზიდენტი“, „მ. ი. კალინინის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და სხვ.

ლ. ნ. გოლსტოის დაბადების 120 წლისთავისათვის

საუბარი იასნაია პოლიანის მუზეუმ-კარმიდამოს წევრ-კორესპონდენტ ა. დ. ტიმოფეტთან

იასნაია პოლიანის მუზეუმ-კარმიდამო წელს აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი რუსი მწერლის ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის დაბადების 120 წლისთავს.

საბჭოთა ხალხმა დიდი სიყვარულით აღადგინა ჰიტლერელი ბარბაროსების მიერ დანგრეული იასნაია პოლიანა. მუზეუმის თანამშრომლებმა საზოგადოებრიობის დახმარებით მოკლე ხანში აღადგინეს ოთახები მთის წინანდელი სახით. მოხერხდა ექსპონატების დიდი ნაწილი გადაერჩინათ ფაშისტი ბარბაროსებისაგან. ბევრი ნივთი, მათ შორის 20 ათასი წერილი, დიდძალი ფოტოგრაფია, სურათი, მწერლის ნივთები გატანილ იქნა ზურგში. ექსპონატების ნაწილი დამალეს მუზეუმის თანამშრომლებმა და იასნაია პოლიანის ვლეხებმა. ახლა უკვე ექსპონატები თავის ადგილზეა დაბრუნებული.

ამ სახლში, სადაც გასული საუკუნის 50-60-იან წლებში გლეხ ბავშვებისათვის ტოლსტოის მიერ მოწყობილი სკოლა იყო და სადაც ახლა მოთავსებულია ლიტერატურული მუზეუმი, აღვამად ეწყობა ახალი ექსპონატები. პირველ დარბაზშია უდიდეს რუს მოღვაწეთა შორი ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ გამოთქმული აზრები. დანარჩენ შვიდ დარბაზს ექსპონატები მოგვითხრობენ დიდი მწერლის ცხოვრებაზე. ცალკეული სტენდები მიძღვნილია რომანებისადმი „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „აღდგომა“. იმ ოთახში, სადაც ტოლსტოი გლეხ ბავშვებთან მეცადინეობდა, მოთავსდება ექსპონატები, რომელიც მის პედაგოგიურ მოღვაწეობას ასახავს.

ზაფხულში გამოვა კრებული „ახ ცხოვრობდა ტოლსტოი“. კრებული ასახავს იასნაია პოლიანის მნიშვნელოვანს ტოლსტოის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მოგვითხრობს მუზეუმის მუშაობაზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში.

იუბილესადმი მიძღვნილ 80-ზე მეტ ლექციასა და საუბარს ჩაატარებენ მუზეუმის თანამშრომლები ოქტის ქალაქებსა და სოფლებში. ახლოსახლო კოლმეურნეობებში წარმატებით ჩატარდა პირველი 10 საუბარი. (საკდნი).

ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის გარდაცვალების 60 წლისთავისათვის

14 აპრილს სრულდება გამოჩენილი რუსი მოგზაურის ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის გარდაცვალების 60 წლისთავი. ეს თარიღი აღინიშნება მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომით. ინსტიტუტში მიმდინარეობს დიდი მუშაობა სახელგანთქმული პატრიოტი მეცნიერის მემკვიდრეობის ასათვისებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ეთნოგრაფიის ინსტიტუტი შეუდგა ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის თხზულებათა აკადემიური კრებულის გამოცემას. ამ გამოცემის ხუთ ტომში გამოქვეყნდება მეცნიერის მოგზაურობის აღწერა, სტატიები, მიწერა-მოწერა თანამედროვეებთან და მის მიერ მოგზაურობის დროს შესრულებული ნახატების ალბომი.

გამოცემას განსაკუთრებულ ღირებულებას აძლევს გამოქვეყნება ჯერ უცნობი საარქივო მასალების, ნაწერები, რომლებიც შეავსებენ გამოჩენილი რუსი მოგზაურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სახელოვან ისტორიას. (საკდნი).

გაუთანასწორდეთ მოწინავეებს საგაზაფხულო ხვნა-თესვაში!

მარტში ნიადაგმუშაობის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება ჩატარდა. მას 500 კაცი დაესწრო. შეკრების მონაწილეებმა ვალდებულება აიღეს საუკეთესოდ მოეარონ საშემოდგომო ნათესებს, მოკლე ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, მოიყვანონ უხვი მოსავალი. სიტყვას საქმეც მოჰყვა. საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა რაიონმა ვადაძე შეასრულა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450 ჰექტარისა 1.068 ჰექტარი დასთესა. 10 აპრილისათვის გეგმის გადაჭარბებით მოხსენია იყო 1.273 ჰექტარი. ვადაძე 10 დღით ადრე დამთავრდა კარტოფილის რგვა. დათესილია 4.351 ჰექტარი მზესუმზირა, გეგმა მთლიანად არის შესრულებული. კოლმეურნეები წელს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ნიადაგში სასუქის შეტანას. 10 აპრილისათვის მინდვრად ვატანილია 10.430 ურემი სასუქი. დაიწყო სიმინდის თესვაც. მარტო ორ დღეში 350 ჰექტარი სიმინდი დასთესეს.

წეთელწყაროელებმა კარგად მოაწყეს მასობრივი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კურსების მოშბადება. გეგმით ვა უნდა მოეშბადებინათ 630 კაცი — მემინდვრეე ბრიგადირები, მერგოლეები, ფერმების გამგეები, ვაზის მცნობიერები, მთესველები, გუთნის დედები. ფაქტიურად მოშბადებულია 850 კაცი.

ხუნ-თესვაში დაწინაურდა სოფელ ზემო მაჩხანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი). კოლმეურნეობამ დროულად შეაკეთა იარაღ-მანქანები, მოიძარაგა უკვე სახის კონდიციური თესლი, ბრიგადები და რგოლები სწორად დაკომპლექტა და ნაკეთები აქტებით მიეჩინა. პირტუცვი 15 იანვრიდან გაძლიერებულ კვებაზე ჰყავთ გადაყვანილი. ამან კოლმეურნეობას შესაძლებლობა მისცა გეგმის გადაჭარბებით დაეთესა 200 ჰექტარი მზესუმზირა, ვადაზე 10 დღით ადრე შეესრულებინა კარტოფილის რგვის გეგმაც. კოლმეურნეობას ამჟამად აქვს 1.185 ურემი სასუქი. ახლა მიმდინარეობს სიმინდის თესვა.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურებულ სოფელ მირნისის XVIII პარტყრილობის (თავმჯდომარე ს. მანგოშვილი), გამარჯვების ყდანოვის (თავმჯდომარე ვ. ფაროსმანიშვილი) სოფელ ჯაფარიძის ჩარკვიანის (თავმჯდომარე ვ. ჯინიაშვილი) სახელობის კოლმეურნეობები.

კოლმეურნეობათა წარმატებებში სერიოზული წვლილი შეაქვს წეთელწყაროს მტს-ს (დირექტორი ამხ. ა. ბიწაძე, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ვ. სიფრანგილი). აქ კარგად არის მოწყობილი შრომა, მტკიცეა დისციპლინა. საგაზაფხულო უკვე მოხსენია 4.121 ჰექტარი (სულ მოსახვნია 4.700 ჰექტარი), დათესილია 2.200 ჰექტარი. დაზრდილი 2 ტრაქტორე საწვავ-საცხები დასაკა.

კარგად მუშაობს პირველი სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. დოლიძე). ბრიგადას საგაზაფხულო უხვად მოუხნა 500 ჰექტარი. 10 აპრილისათვის ამ ბრიგადის ბრიგადირმა ვ. ფოფხაძემ გეგმის გადამეტებით 65 ჰექტარი მოხნა და 300 კილოგრამი სარვავი დაზოგა. მტს-ში დაწინაურდა აგრეთვე მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ნ. ტარასოვი), რომელმაც საგაზაფხულოდ 265 ჰექტარი მოხნა, ნაცვლად 200 ჰექტარისა და 750 კილოგრამი სარვავი დაზოგა. გადაჭარბებით შესარულებულ ხნეის გეგმები მეორეთქტე (ბრიგადირი ა. ელიზბარაშვილი) და მერვე (ბრიგადირი შ. მოსაშვილი) სატრაქტორო ბრიგადებმა.

მისაბაძია მეოთხმეტე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტის ბ. ტოკლაიშვილის მუშაობა. ის საუკეთესოდ არის დაუფლებული რთული იარაღ-მანქანების ძართვის საქმეს, კარგად უვლის მანქანას. ყოველდღიურად, როგორც წესი, მინდორად მუშაობის დაწყებამდე სინჯავს და ამოწმებს მანქანას. 9 აპრილს სოფელ ჯაფარიძის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. ტოკლაიშვილმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარის 55 ჰექტარი მზესუმზირა დასთესა. ტრაქტორისტი ი. ფუთურგაული ტრაქტორზე ნაცვლად ერთისა ორ სთეს მანქანას ბამს და დღეში ნაცვლად 12 ჰექტარისა 50 ჰექტარ მზესუმზირას სთესავს. ასევე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ თესვის ყოველდღიურ გეგმებს ტრაქტორისტები ი. გონაშვილი, ფ. ლეკვეშვილი, ლ. გონაშვილი, ფ. იენიშვილი.

მტს-ის ყველა ბრიგადაში მოწყობილია რადიოწერტები მიძიები და გადამცემი ბაზებით. თუ მინდორად ტრაქტორის რაიმე ნაწილი დაუზიანდა, ამის შესახებ ბრიგადირი რაციოით აცნობებს მტს-ის დირექციას, რომელიც სასწრაფოდ გზავნის ადგილებზე მძრავი სახელოსნოს მეშაკებს. წეთელწყაროს მტს-ს მინდორად რადიო მოუწყვია 19 ადგილზე, ხოლო შირაქის მტს-ს — 14 ადგილზე. ეს ინიციატივა მისაბაძებელია.

რაიონში გეგმით გათვალისწინებული იყო დაეთესათ 18.000 ჰექტარი სამრეწველო თავთავიანი მარცვლეული კულტურები. ფაქტიურად გეგმას 2.800 ჰექტარით გადაჭარბება. საშუალოდაღო ჯეჯილს კარგი პირი უჩანს. საშემოდგომო ნათესი ფოთწელწყაროში მთელი ნათესის 74 პროცენტს შეადგენს. პირტუცის ნათესებს კარგად უვლიან. მთელ ფართობზე ოთხჯერ მოაწყეს თაგვის წინააღმდეგ წამლობა. დამატებით გამოკვება ჩატარებული 10.430 ჰექტარზე, ხოლო გამარგლილია 2.422 ჰექტარი. წარმატებით მიმდინარეობს ჯეჯილის ფარცხვა.

ზენა-თესვაში არის ნაკლოვანებანი. სოფელ წეთელწყაროს მოლოლოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ყაზარაშვი) მუშა-პირუტყვით უნდა გადაეხნათ 120 ჰექტარი მინა, ფაქტიურად მარტო ერთი ჰექტარი გადახნეს. კოლმეურნეობას 8 აპრილს შეეძლო სამუშაოდ 16 ცუთნიანი გადმოეყვანა, მაგრამ ერთი გუთნიულიც არ გამოუყვანია. საჭიროა ამ კოლმეურნეობას დაეუბნაროთ ჩამორჩენის გამოსწორებაში. სოფელ არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. სუხნაშვილი) ფარობაზე 9 აპრილს მზესუმზირას ცუდად სთესავდნენ: დათესილი ნაპირები — სიგრძით 500 მეტრი და სიგანით 4 მეტრი — დაუფარებელი იყო; ამის გამო მარცვლეულის მეტი ნაწილი მიწით დაეფარავი დარჩა, ბრიგადირმა ამჟ. სუხნაშვილმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ჯინაშვილმა ეს ნაბუნ, მაგრამ ნაკლის გამოსწორებაზე ზომები არ მიიღეს.

სოფელ ზემო მაჩხანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის საშემოდგომო ნათესში 10 აპრილს კამეჩები დადიოდნენ. რაიონის სოფლის მეურნეობის ვანყოფილების მთავარმა აგრონომმა ამხ. ზედგინიძემ ნახა ეს, მაგრამ პირუტყვისადან ნათესის დასაცავად ზომები არ მიიღია.

წეთელწყაროელ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს დიდი გამოცდილება აქვთ პურეულის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ბევრგან ამ გამოცდილებას კარგად იყენებენ. საჭიროა გვეუთანასწორებით მოწინავეებს ხვნა-თესვაში, არ უნდა გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა.

ზ. ჭოჭუა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

საჭირო დასკვნები უნდა გაკეთდეს

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში წელს 2.608 ძროხა უნდა დაბბოდიანდეს. 22 მარტისათვის 1.367 ძროხისაგან უკვე მიეებული იყო 1.333 ხბო. ხბოების ნამატი ბევრგან მთლიანად არის შენარჩუნებული. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ბოდბის 26 კოლმეურნის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე კ. კოკლიამაზაშვილი, ფერმის გამგე ო. აბუელაური). აქ 64 ძროხისაგან მიეებულია 65 ხბო. მეძროხე მწყემსები: რამაზ თოთარაშვილი, იოსებ ჩუფუღაშვილი და სიკო ლეკიშვილი თავდებებულად შეშობენ ნამატის შენარჩუნებისა და წველადობის გადიდებისათვის. მწყემსები სწორად იყენებენ კონცენტრირებულ და უხვ საკვებს, კარგ სამოვრებში აბალახებენ მეწველ ძროხებს. ნამატის შენარჩუნება კარგად მიაწყეს ვარეთვი სოფელ ბოდბისხევის კავალოვის სახელობის კოლმეურნეობაში (ფერმის გამგე ი. მაიშვილი). აქ 44 საფუროვე ძროხიდან 20 უკვე დაბბოიანდა. ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია კარგ მდგომარეობაა მაღარის კოლმეურნეობაში (უფ-ნის გამგე ამხ. ხართიშვილი) და ალვნინის გზით", სადაც 40 ძროხიდან მიეებულია 40 ხბო.

სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. ბეგაშვილი) მეძროხეობის ფერმაში 78 ძროხაა. მათგან 45 ძროხა დაბბოიანდა, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში მოკვდა 12 სული ხბო. შაობშაც აქ 13 სული ძროხა და 36 ხბო მოკვდა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ დღემდე პირტუცის ვეტერინარული მომსახურება მოუწესრიგებელია. უხბოს ვეტექიმი ზ. სახაე ითვითად თუ გამოჩნდება ფერმაში.

ხბოების სიკვდილიანობას ადგილს აქვს სოფელ ჯუკვანის ჩარკვიანის სახელობის (თავმჯდომარე ამ. ჩითინაშვილი), სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის (თავმჯდომარე ს. ბენაშვილი) კოლმეურნეობებში და სოფელ ტბისაანის კოლმეურნეობა „ხორის გზეხთა შრომაში“.

ამ ფაქტებიდან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთოს სიღნაღის რაიონის საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ.

გ. ყაზრიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ღორს მომზადებული შეხვდნენ

ყაზბეგელი კოლმეურნეები მომზადებული შეხვდნენ ღორის დაწყვას. დასაღორებელი 60.000-ზე მეტი ცხვრიდან დაღორებულია 28.000. ნამატის საკვლიანობა არ ყოფილა.

ღორი და ნამატის შენარჩუნება საკვებით მოაწყეს სოფელ ხნოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ჯინჭარაძე), სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ბეგაშვილი), სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის (თავმჯდომარე ს. ბენაშვილი) კოლმეურნეობებში და სოფელ ტბისაანის კოლმეურნეობა „ხორის გზეხთა შრომაში“.

ამ ფაქტებიდან საჭირო დასკვნები უნდა გაკეთოს სიღნაღის რაიონის საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ.

გ. ყაზრიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

9-10 აპრილს მიმდინარეობდა აჭარის ასსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ი. ნიქარაძემ გამოაცხადა, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები: აჭარის ასსრ რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება და სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა დამტკიცება.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პირველ საკითხზე სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ მ. ლომთათიძის მოხსენება. მომხსენებელმა მოაყვანა ცნობები 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მარშალელი ბიუჯეტი შესრულდა შემოსავლის ნაწილში 107.570,1 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 105.008,2 ათასი მანეთის რაოდენობით. შემოსავალი გასავალს აჭარბებს 2.561,9 ათასი მანეთით, ხოლო დამტკიცებულ თანხას — 5.776,1 ათასი მანეთით.

აჭარის ასსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულია 106.980 ათასი მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავლის ზრდის, საქონლის ბრუნვის გადიდების, პროდუქციის თვითღირებულებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირების გზით. ეიდეათი თანხები მობილიზება სახალხო მეურნეობის დაფინანსებას. საბიუჯეტო და კომუნალური მეურნეობისათვის გაჩვენებულია 6.806 ათასი მანეთი, საგზო შრომებისათვის — 1.291 ათასი მანეთი, კურორტთა და დეგენილა და კეთილმოწყობისათვის — 3.377 ათასი მანეთი. მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული აჭარტექტრუსტ ღონისძიებათა გასატარებლად, საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოსაწყობად და შესანახად, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გასატარებლად. ბევრად გადიდებულია ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წლის ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 85.859 ათასი მანეთის ასიგნებანი, რაც ბიუჯეტის 80,2 პროცენტს უდრის. სახალხო განათლებაზე დაიხარჯება 57.844 ათასი მანეთი, შრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე — 26.757 ათასი და სოციალურ უზრუნველყოფაზე — 787 ათასი მანეთი. აჭარის ასსრ ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი მიზნად ისახავს იმის შემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე სამეწინო წლის გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების დაფინანსებას უზრუნველყოფას.

სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ა. ფირაშვილის თანამოხსენება.

ბიუჯეტის საკითხზე კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ა. გ. ღვალაძე, ნ. ს. ხელაძე, მ. ა. ნაკაიძე, შ. თ. ღეგაძე, ი. ნ. კიკაკიშვილი, კ. გ. გოგია, ფ. მ. მაშულაძე, ო. ნ. ბერიაძე, აჭარის ასსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. გოგოლაშვილი, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ნ. ი. შაშიკაშვილი, დეპუტატი ქ. ი. მეგრელიძე, ვ. ი. აფანასიევა, ნ. ი. ნიქარაძე, ს. ქ. ჩაგელიშვილი, ფ. ა. გორგილაძე და ბ. ხ. ხალვაში.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ ერთხმად დაამტკიცა აჭარის ასსრ რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ—მოხსენებით გამოვიდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატ ზ. ა. ფირაშვილის თანამოხსენებანი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებანი:

აჭარის ასსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მამუდ ალის-ძე გოგოლაშვილის დანიშვნის შესახებ, აჭარის ასსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მამუდ ალის-ძე გოგოლაშვილის დანიშვნის შესახებ, აჭარის ასსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

აჭარის ასსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მამუდ ალის-ძე გოგოლაშვილის დანიშვნის შესახებ, აჭარის ასსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლება ე. ნ. ჯიქია და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ალიზა დეპუტატ ნ. ბ. ალიზა.

ამით დაამთავრა მეშვიდა აჭარის ასსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ.

ქ. ჯუნიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მკვეთრად გავაუმჯობესოთ მფს-ების მუშაობა

თათბირი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში

10 აპრილს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედგა მტს-ების დირექტორთა თათბირი. მოხსენება მტს-ების მიერ 1947 წელს ჩატარებული მუშაობისა და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **გ. ალავიძემ.**

1947 წლის საწარმოო გეგმა საქართველოს მტს-ებმა 108,4 პროცენტით შეასრულეს. რბილ ხეხილზე გადაყვანით მოხვეწილია 655.403 ჰექტარი, ხილეულად გეგმით გათვალისწინებული 604.500 ჰექტარის ნაცვლად. 60 მტს-და დაეალება წარმატებით შეასრულა 49 მტს-მა, მათ შორის ფოთლოსანის, თელეთის, კაჭრეთის, შორაპნის, ასურეთის, ახმეტის, გარდაბნის, სართიჭალის მტს-ებმა. ბაღით გეგმა სატრაქტორო სამუშაო ხვლილი 18 მტს-შია შესრულებული. შარშან ყველაზე ცუდად იქუშავა ცხაკაიას მეორე მტს-მა, რომელმაც წლიური გეგმა მხოლოდ 46,6 პროცენტით შეასრულა. სატრაქტორო სამუშაოთა 1947 წლის გეგმები ვერ შეასრულეს აგრეთვე მცხეთის, დმანისის, სტალინირის, ქარელის, ახალციხის, ყვარლის, გორის მტს-ებმა.

მოწინავე მტს-ების კარგი მუშაობის შედეგად მარშან ბევრგან მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც მარცვლეული, ისე ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მათ მუშაობას, მტს-ების ორ დირექტორს, ორ უფროს მექანიკოსს და ერთ ბრიგადირს 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით მინიშნებული აქვთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია მტს-ების მრავალი მუშაკი.

ყველა მტს-ში როდი აქცევენ ყურადღებას აგროწესებში ზუსტად დაცვას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას. ბაგალთაგან, კასპის, ყვარლის, თიანეთის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, ლანჩხუთის, წულუკიძის, ქუთაისის, დუშეთის, გორის, წნორის, ალაზნისა და ზოგიერთი სხვა მტს-ი შარშან უშინაბნისო გუთნით ხნავდა. სამეალოდ მტს-ებში თვითეული სატრაქტორი გუთნით გამოძუშავებული 189 ჰექტარიდან წინასახნისაში გუთნით მოხნულია მხოლოდ 80 ჰექტარი. წინასახნისაში გუთნით ხვნის შემთხვევები წელსაც არის.

წელს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 1947 წლთან შედარებით 40 ათასი ჰექტარით მეტია. ამას ყველაზე ნორი თვალსწინებენ. სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1 აპრილისათვის საგაზაფხულო ხვნის გეგმა მხოლოდ 31,1 პროცენტით იყო შესრულებული, ნაცვლად შარშან ამავე დროისათვის შესრულებული 61,4 პროცენტისა. მზრალის კულტივაციის დაგვიანება შესრულებულია მხოლოდ 15,4 პროცენტით, საგაზაფხულო კულტურების თესვისა — 16,1 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ბაკის, ქსუისის, ღუმეთის, წითელწყაროს, ახალსოფლის და წინანდლის მტს-ები. წინდისის მტს-ს (დირექტორი ამხ. ნადირაძე) დღემდე ერთი კვალიც არ გაუვლია, თუმცა მისმა მეზობელმა მტს-ებმა 300-600 ჰექტარამდე მოხნეს.

საწვავი მასალის შეზიდვის ვადა 20 მარტს ამოიწურა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკური გეგმა მტს-ებში 78,2 პროცენტით არის შესრულებული. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ სამტრედიის, ვანის, ზესტაფონის, ბაკირის, რუისის, ქსუისის მტს-ები.

ამხ. ალავიძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების აუცილებლობაზე, სატრაქტორო პარკის სრული დატვირთვით გამოყენებაზე, ტრაქტორების სადღეღამისო მუშაობის მოწყობაზე, დისციპლინის განმტკიცებაზე, საწვავ-საცხები მასალის ხარჯვისა და მიბრძანების მოვლის საქმისადმი კონტროლის გაძლიერებაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ მტს-ებში ადგილი აქვს საწვავი მასალის უუაირათოდ ხარჯვას. მთლიანად რესპუბლიკაში 60 მტს-დან 54 მტს-ს გადახარჯული აქვს 1.669,2 ტონა საწვავი. გარდა ამისა, განაივებული და დატკეპნული 62,5 ტონა ნავთის ჭვედახსნა პროდუქცია. მარტო ულიანოვკის მტს-ში გადახარჯულია 119,4 ტონა საწვავი, ალაზნის მტს-ში — 119,6, წნორის—110,2, დიღმის — 31,7, წალკის—61,4, თიანეთის—34,7, ყვარლის მტს-ში—56,2 ტონა. საწვავის დატაცებაში და განიავების ფაქტები იყო ყვარლის, ზესტაფონის, შინდისის, თიანეთის და სხვა მტს-ებში. ბევრგან მოუწესრიგებელია საწვავის ხარჯვის, აღრიცხვისა და ტრანსპორტირების საქმე.

1947 წელს მტს-ებში ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტზე გადახარჯულია 1.210.000 მანეთი. ეს ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ბევრგან ყველა ხარჯებს რემონტსა და ტექნიკურ მოელას აწერენ. გადახარჯვა დაშვებულია ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებშიც. ამის გამო ხვნის თვითღირებულება 1947 წელს გადიდებულია 11 მტს-ში, მათ შორის ცხაკაიას მეორე, ხობის, ქარელის, ტატაენირის, თიანეთის, ახალციხის, დმანისის, მცხეთის მტს-ებში.

გეგმით წელს მტს-ებში სამუშაოთა თვითღირებულების შარშანდელთან შედარებით სულ ცოტა 3 პროცენტით უნდა შემცირდეს. ეს დაეალება მტს-ების ხელმძღვანელებმა მტკიცედ უნდა შეასრულონ.

1947 წელს რესპუბლიკის 34 მტს-მა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა 811.000 მანეთის მოგებით დაამთავრა, დანარჩენებმა კი—1.252.000 მანეთის ზარალით. ცხაკაია, ზაგეხით და მუშაობა წელს არ გეუპატიება და არც უნდა დავუშვათ.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქონია მეტი ყურადღება მიექცეს ნატურასახეურის გეგმის წარმატებით შესრულებას, მტს-ებში მშრომელთაბის დაცვა-ბანაობის განადგურებას, საწვავის განიავების ფაქტები და აღნიშნა, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა დიდად დამოკიდებ

არჩევნების წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში

უოლესის სიტყვა ჩიკაგოში გამართულ მასობრივ მიტინგზე

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. (საქინფო). ჩიკაგოში „ჩიკაგოს სტადიონზე", რომელიც 20 ათას ადამიანს იტევს, უოლესმა სიტყვა წარმოსთქვა აღნიშნული შტატის პრეზიდენტად პარტიის მიერ გამოტანილ მიტინგზე. სიტყვა ტრანსლირებულ იქნა რადიოთი.

უოლესმა განაცხადა: „ერთი წლის წინათ ჩვენ ორგანიზებული არ ვიყავით. იგი მრავალი ცალკეული ადამიანი, რომელთაც მშვიდობისათვის ბრძოლა დაისახეს მიზნად, ვაგრამ ჩვენი ხმა ძლევს ისმოდა. დღეს ჩვენ ძლიერები ვართ. გვგმენ ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს პოლიტიკოსთაგან განსაკუთრებულ ენაზე, — ენაზე, რომელსაც ხალხის ხმა ესმის. ჩვენ ვგმენ ორგანიზაციას, რომელსაც ეშინია ხალხის ხმის. ჩვენ ვგმენ ორგანიზაციას, რომელსაც ეშინია ხალხის ხმის. ჩვენ ვგმენ ორგანიზაციას, რომელსაც ეშინია ხალხის ხმის. ჩვენ ვგმენ ორგანიზაციას, რომელსაც ეშინია ხალხის ხმის.

ჩვენ ვგმენ ორგანიზაციას, რომელსაც ეშინია ხალხის ხმის.